

**ტიმსტირების ორგანიზება დისტანციური სწავლების
LMS MOODLE სისტემის საშუალებით**

იზა ოქროპირიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დისტანციური განათლება არის სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზაციული ფორმა, სადაც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაში შუამავალს საინფორმაციო ტექნოლოგია წარმოადგენს. დისტანციური სწავლების რეალიზებისთვის კომპიუტერული პლატფორმის შექმნა კომპლექსური, ხანგრძლივი და ძვირადღირებული სამუშაოა. სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი და ეკონომიურად ეფექტური დანერგვის ამოცანა ამავდროულად განაპირობებს მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული და კარგად აპრობირებული „ღია წყაროს“ (Open Source) პრინციპზე შექმნილი უფასო გარსების ქართულ ენასთან ადაპტირების აუცილებლობას. სტატიაში განხილულია ტესტების შედგენის და ორგანიზების საკითხები.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური სწავლება. სასწავლო პროცესი. Open Source. ტესტირება.

1. შესავალი

ინტერნეტ ტექნოლოგიების ათვისება ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრების კანონზომიერი პროცესია. მართებულია მისი დაკავშირება ახალი თაობის აღზრდის პროცესთან, რადგან ინტერნეტის გარემოში აღზრდილი თაობა საფუძვლიანად ნერგავს ინტერნეტ ტექნოლოგიებს და მათზე დამყარებული ცხოვრების წესებს. ახალგაზრდობის ინტერნეტის შესაძლებლობებთან გაზიარების ერთადერთი რეალური გზა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში ინტერნეტ ტექნოლოგიების დანერგვაა. ამ მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი ტექნოლოგიების დანერგვაში საყურადღებოა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება, რომელიც თითქმის ყველა სფეროში იმდენად დიდი და მრავალფეროვანია, რომ მათი დიდაქტიური და ეკონომიკური ეფექტურობის გაუთვალისწინებლობა მიზანშეწონილი არ იქნება საქართველოში მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმისათვის [1].

2. ძირითადი ნაწილი

ინფორმაციულ ტექნოლოგიებს შორის ერთ-ერთი პერსპექტიული დისტანციური სწავლების სისტემებია. ელექტრონული სწავლება განათლების მიღების ალტერნატიულ, მოდერნიზებულ საშუალებას წარმოადგენს. არსებობს რამდენიმე თანამედროვე სისტემა დისტანციური განათლების ორგანიზებისათვის. მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული და კარგად აპრობირებული ღია კოდზე დამყარებული დისტანციური სწავლების პლატფორმები მათ შორის ერთ-ერთია LMS MOODLE. მის შესაძლებლობებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის გავლისას სტუდენტის ცოდნის დონის შემოწმების მიზნით ტესტირების ორგანიზება. Moodle სისტემაში ტესტები ავტომატურად ფასდება და შესაძლებელია ტესტის შედეგების ხელმეორედ შემოწმება/გადაანგარიშება კითხვების ცვლილების შემთხვევაში [2]. ელექტრონული სწავლების მართვის სისტემის საშუალებით ტესტირების ორგანიზების საუნივერსიტეტო სწავლებაში დანერგვა და გამოყენება მიზანშეწონილია ეკონომიური თვალსაზრისითაც. ვინაიდან ელექტრონული ტესტირება შესაძლებლობას იძლევა ბეჭდვითი დანახარჯების გარეშე, ტესტირება მარავალჯერ ჩატარდეს, ასევე აღსანიშნავია რომ შედეგების შეფასება ხდება სისტემის მიერ ავტომატურად, პედაგოგის მიერ წინასწარ განსაზღვრული მეთოდის საფუძველზე, რაც თავისთავად ამცირებს ტესტის მექანიკურად გასწორებისათვის საჭირო რესურსებს. ტესტი შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერი რაოდენობის პასუხებს და ისინი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი/მცდარი, მრავალრიცხოვანი პასუხების ვარიანტით და შესაძლებლობით საკუთარი პასუხის დამატებით. ტესტს ასევე შეიძლება გააჩნდეს განმარტება, სადაც განუმარტავენ სტუდენტებს, რატომ არის ასეთი პასუხი. ტესტის დამატებისთვის აუცილებელია ჩართული იყოს რედაქტირების რეჟიმი.

ტესტის შექმნა ორგანიზებულია შაბლონური სახით, სადაც უნდა განისაზღვროს ტესტის პარამეტრები: როგორ შეფასდეს ტესტი, შეუძლია თუ არა სტუდენტს შეასრულოს ტესტი ბევრჯერ. შესაძლებლობაშია უმაღლესი ქულის, საშუალო ქულის, პირველი შეფასების, ან ბოლო შეფასების შენახვა. პასუხების კომენტირება: პასუხის შემდეგ ამის დაყენება საშუალებას იძლევა დაუყონებლივ მიეცეს სტუდენტს განმარტება პასუხზე. თქვენ შეგყავთ განმარტება კითხვაში, როდესაც მას ქმნით. დათვალიერების ნებადართულობა საშუალებას აძლევს სტუდენტს მთლიანად დაინახოს ტესტები, რომლებსაც ისინი იღებენ. თუ ოპცია ჩართულია, მაშინ სტუდენტს საშუალება აქვს ნახოს ტესტი მასზე მუშაობის დამთავრების შემდგომ. მაქსიმალური ქულა ეს მნიშვნელოვანი ელემენტია. ის აყენებს მაქსიმალურ ქულას ტესტისთვის (100 ქულამდე). თუ ეს ფუნქცია დაყენებულია „შეფასების გარეშე“, მაშინ შეიძლება ტესტის შესრულება, მაგრამ არ იქნება ნიშანი/შეფასება. საჭიროა პაროლი - ეს არასავალდებულო ფუნქციაა. თქვენ შეგიძლიათ შეიყვანოთ პაროლი, რომელიც დასჭირდება სტუდენტს შესვლისთვის, მანამ, სანამ ის დაიწყებს ტესტს.

საჭიროა ელექტრონული მისამართი - ეს არასავალდებულო ფუნქციაა, თქვენ შეგიძლიათ აქ ჩაწეროთ IP მისამართი, და მხოლოდ ამ მისამართებიდან შეგიძლიათ აიღოთ კითხვები. სისტემას შეუძლია გაიგოს

არასრული IP მისამართი, ისეთი როგორც 10.0 და შეუძლია მიიღოს მრავალი მისამართები, გამოყოფილი (10.0.01,10.0.0.2 და ა.შ). როდესაც ტესტში ყველა პარამეტრი განსაზღვრულია, შესაძლებელია მათი ცვლილება შემდგომშიც.

3. დასკვნა

Moodle-ის გარემოში შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის შეკითხვების განთავსება, რაც ტესტირების მრავალფეროვნების საშუალებას იძლევა: ჭეშმარიტი/მცდარი მტკიცებულება; შეკითხვა შესაბამისობის შერჩევით; კითხვა მოკლე პასუხით; გამოტოვებულ სიტყვიანი შეკითხვა; კითხვა მრავლობითი შესარჩევი პასუხებით; ჩანართი პასუხებით; გადაიტანე-ჩასვი ტიპის შეკითხვა. შესაძლებელია კითხვის დაამატება დასურული ფორმით (მრავალჯერადი არჩევა), ჭეშმარიტი/მცდარი, კითხვა მოკლე პასუხით, რიცხვითი, გამომრიცხავი, თანხვედრი, აღწერა, შემთხვევითი შეკითხვა, შემთხვევით კითხვები ღია ფორმით (მოკლე პასუხი) შესაბამისობით, ან სპეციალური კითხვის სახეობა, წოდებული „ჩადებული კითხვები“. ყოველ კითხვას მოსდევს „შეფასების“ ველი. ჯამური შეფასება უნდა იყოს 100%. შეიძლება რამდენიმე პასუხის არსებობა, შეფასებული 100%-ით. შეიძლება განმარტებების ჩაწერა თითოეული პასუხისთვის. განმარტებები შეიძლება ჩანდეს მაშინაც, როცა სტუდენტს შეაქვს სწორი პასუხი. შესაძლებელია განმარტების მიცემა არასწორ პასუხზე. განმარტება იმუშავებს ამ კატეგორიის არასწორ პასუხებზე. განმარტებამ შეიძლება უჩვენოს სტუდენტს სწორი პასუხი.

ლიტერატურა:

1. Cross J., Hamilton I. The DNA of e-Learning. Internet Time Group. www.internetttime. com, 2006
2. Cross J., Hamilton I. The DNA of e-Learning. Internet Time Group. www.internetttime. com, 2002
3. Learning Management Systems and Learning Content Management Systems demystified. www.brandonhall.com
4. Content & Collaboration Strategies 2004/05 META Trends. META Group, January 2004.

ORGANIZATION OF TESTING USING DISTANCE LEARNING SYSTEM LMS MOODLE

Okropiridze Iza, Georgian Technical University

Summary

Distance learning is the form of studying process where the mediator between instructor and student is information technology. To create a computer platform for distance learning is a complex, long term and expensive work process. At the same time rapid and cost effective implementation of information technologies in the studying process corresponds famous and popular open source based free Georgian interface. The issues of test creation and organization are considered in the article.

LMS MOODLE